

თბილისი
2019 წელი



შპს „დიუთი ფრი ალიაუნსი“ 2018 წელის მმართველობის ანგარიშგება

კონტექსტი :

კომპანიის გენერალური დირექტორის მიმართვა

1. კომპანიის შესახებ
2. კომპანიის ძირითადი ღირებულებები (Core value)
3. ბიზნეს გარემო და მომხმარებლები
4. თანამშრომლები
5. განვითარება და ინოვაციები
6. ფინანსური ანგარიშგება

საკონტაქტო ინფორმაცია:

შპს „დიუთი ფრი ალიაუნსი“ სათაო ოფისი

თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 74 ბ

Phone: + 995 32 243 61 06

Fax: + 995 32 243 61 09

E-mail: Info@dfa.ge; Website: www.dfa.ge

1. კომპანიის შესახებ

კომპანიის შპს „დიუთი ფრი ალიანსი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტერიტორიულად ერთიან საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონაში თავისუფალი საცალო ვაჭრობა და საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსისთვის პროდუქციის მიწოდება;

კომპანიის კუთვნილი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტები მომხმარებელს სთავაზობს ტრადიციული, ეგრეთ წოდებული „DUTY FREE“-ს ასორტიმენტს, რაც ითვალისწინებს მსოფლიოში ღირებული პარფიუმერულ და კოსმეტიკურ პროდუქციას, მრავალფეროვან ალკოჰოლურ სასმელებს, თამბაქოს ნაწარმს, უმაღლესი ხარისხის ტკბილეულსა და საკოლექციო სუვენირებს.

კომპანიის ისტორია იწყება 2008 წელიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა ნებართვა და გახსნა სამი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი, საქართველო-თურქეთის საზღვარზე - სგპ სარფში, საქართველო-სასომხეთის საზღვარზე - სგპ სადახლო, საქართველო- აზერბაიჯანის საზღვარზე - სგპ წითელი ხიდი.

2011 წელს კომპანიის ინიციატივით განხორციელებული იქნა საკონონმდებლო ცვლილება, რომლის საფუძველზეც კომპანიას მიენიჭა უფლება განეხორციელებინა პროდუქციის მიწოდება საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ კორპუსზე და უცხოურ სამგზავრო-სატვირთო გემებსა და სხვა საზღვაო ტრანსპორტზე მყოფი ეკიპაჟისა და მგზავრებისთვის. კომპანიის სავაჭრო ქსელი გაფართოვდა ახალი ვაჭრობის ობიექტებით, თბილისში „დიპლომატი“, ხოლო რეგიონებში „ფოთი“ და „ბათუმი“.

დღეის მდგომარეობით შპს „დიუთი ფრი ალიანსი“ არის ერთადერთი კომპანია რომელიც ახორციელებს უბაჟო ვაჭრობას ფოთის პორტში.

2013 წელს კომპანიამ გახსნა კიდევ ერთი თავისუფალი ვაჭრობის ობიექტი საქართველო-რუსეთის საზღვარზე - სგპ ლარსში;

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ქსელი აერთიანებდა ექვს თავისუფალი ვაჭრობის ობიექტს საერთო სავაჭრო ფართობით 823 კვ.მ.

სანებართვო საქმიანობის, შემოსავლების ზრდისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, კომპანიამ 2014 წელს ააშენა და ექსპლუატაციაში შეიყვანა კანონის მოთხოვნებისა და თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი საბაჟო საწყობი ქალაქ ფოთში. საწყობი ფუნქციონირებს საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონების დაცვით;

ფოტის საბაჟო საწყობი აღჭურვილია თანამდროვე სამაცივრე სისტემებით, რაც უზრუნველყოფს მალეფუჭებადი პროდუქციის ხარისხიანი შენახვის პირობებს.

საწყობის საერთო ფართი შეადგენს 3 569,58 კვ.მ, თავსებადობა შეადგენს 1500 პალეტს, (საშუალო ტვირთტევადობით 1300 ტონა). საწყობის მოცულობა არამარტო სრულად ადკმაყოფილებს კომპანიის დღევანდელ მოთხოვნას არამედ გააჩნია პოტენციალი მომსახუროს კომპანიას ქსელის გაზრდისა და საქონელბრუნვის გაზრდის შემთხვევაში. საწყობი მზადაა გაუწიოს საბაჟო საწყობის მომსახურება სხვა დაინტერესებულ ბიზნეს ოპერატორებს.

კომპანიის ლოგისტიკურ ოპერაციებს ახორციელებს საკუთრებაში მქონე ავტოპარკის მეშვეობით.

2019 წლის ოქროს ბრენდის დაჯილდოებაზე ნომინაციაში „საჯალო ვაჭრობის ლიდერი მოგზაურებისა და მოგზაურებთან დაკავშირებული აუდიტორიისთვის„ კომპანია „დიუთი ფრი ალიანსი“ დასახელდა ყველაზე წარმატებულ კომპანიად და დაჯილდოვდა 2018 წლის ოქროს ბრენდის ჯილდოთი.

კვლევაში მონაწილეობდა 100-ზე მეტი ექსპერტი და მომხმარებელი, სწორედ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით „დიუთი ფრი ალიანსი„ აღირებული იქნა N1 კომპანიად საქართველოში მისი საქმიანობის სეგმენტში.

2. კომპანიის ძირითადი ღირებულებები (Core value)

საქონლისა და მომსახურების ხარისხი:

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“ სთავაზობს მომხმარებელს საქონლისა და მომსახურების მაღალ ხარისხს. გაყიდვების მოცულობის ძირითად ნაწილს შეადგენს მსოფლიოში აღირებული სართაშორისო ბრენდები. მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება წარმოადგენს კომპანიის პრიორიტეტს.

განვითარების უწყვეტი პროცესი

კომპანია იმყოფება ბიზნესის განვითარების გზების ძიებაში. საქმიანობის პირველ წლებში ბიზნესის ზრდა ხდებოდა ძირითადად თავისუფალი ვაჭრობის ობიექტების დამატებისა და ქსელის განვითარების ხარჯზე. ციფრული მარკეტინგის ეპოქაში კომპანია განიხილავს და სწავლობს შესაძლებლობებს on-line ოპერირებასთან დაკავშირებით.

სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებლობების ფარგლებში იღბს მონაწილეობას სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებში.

გამჭვირვალობა

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

პატრიოტული მოტივები

კომპანიას თავისი წვლილი შეაქვს ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებელთა განვითარებაში. წარმოადგენს ქართულ პროდუქციას მსოფლიოში აღიარებული ბრენდების გვერდით. რაც ამასთანავე ხელს უწყობს ქართული კულტურის ცნობადობას ქვეყნის ფარგლებს გარეთ უცხოელი ტურისტების მეშვეობით.

3. ბიზნეს გარემო და მომხმარებლები

ჩვენი მომხმარებლები ძირითადად არიან ტურისტები რომლებიც კვეთენ საქართველოს სახმელეთო საზღვარს და საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსი. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებზე დაყრდნობით 2017 საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებმა შეადგინა - 6 482 830 ადამიანი, საიდანაც სახმელეთო გზით შემოვიდა 4 958 039 ადამიანი რაც საერთო რაოდენობის 76,5 %, შეადგენს, ხოლო საჰაერო, სარკინიგზო და საზღვაო გზით 1 524 791 ადამიანი, რაც შესაბამისად შეადგენს 23.5 % -ს .

ზრდის ტენდენცია იქნა დაფიქსირებული 2018 წელს , კერძოდ 2018 წელს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებმა შეადგინა - 7 203 350 ადამიანი, სახმელეთო გზით შემოვიდა - 5 314 984 ადამიანი რაც საერთო რაოდენობის 73,8 %, შეადგენს, ხოლო საჰაერო, სარკინიგზო და საზღვაო გზით 1 888 366 ადამიანი, რაც შესაბამისად შეადგენს 26.2 % -ს . ქვემოთ მოცემულ ცხრილში N1-ში ნათლად ჩანს ტურისტული ნაკადის ზრდა იმ რეგიონებში სადაც განლაგებულია კომპანიის ობიექტები. აღნიშნული გარემოება გვაძლევს საქმიანობის წარმატებულად მართვის საშუალებას.

საზღვარი	2017	2018	Change	Change %
სარფი	1,101,317	1,296,833	195,516	15%
წითელი ხიდი	1,018,548	1,121,052	102,504	9%
ყაზბეგი	1,045,488	1,129,490	84,002	7%
სადახლო	1,012,111	1,057,581	45,470	4%
თბილისის აეროპორტი	1,133,811	1,402,157	268,346	19%
ბათუმის აეროპორტი	193,699	239,251	45,552	19%
ქუთაისის აეროპორტი	112,179	147,009	34,830	24%
სხვა	865,677	809,977	-55,700	-7%
სულ	6,482,830	7,203,350	720,520	

ტურისტული ნაკადების ზრდა იმ სასაზღვრო წერტილებში სადაც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას შპს „დიუთი ფრი ალიანსი“, იძლევა დამატებით შესაძლებლობას საქმიანობის წარმატებით განხორციელებასა და ფუნქციონირებაში.

4. დასაქმება და თანამშრომლები

კომპანია სრულად იზიარებს გამოთქმას „ბიზნესს ქმნიან ადამიანები“ და შესაბამისად თვლის ღირებულ აქტივად კომპანიაში დასაქმებულ პირებს.

დასაქმებულთა რაოდენობით კომპანია ითვლება საშუალო ზომის კომპანიად. კომპანიის ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 147 ადამიანი, კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვა და სხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას.

კომპანია თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით ღიად ახდენს კადრების შერჩევას.

პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კომპანია რეგულარულად ადხენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით.

5. განვითარება და ინოვაციები

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და ამ გზით შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

კომპანიის მომხმარებლები არიან საქართველოდან გამსვლელი ტურისტები. ვითვალისწინებთ რა წინა წლების ტენდენციას და სახელმწიფო პოლიტიკას მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, ვიმედოვნებთ მომავალშიც ტურიზმის ზრდას.

ამასთანავე კომპანია მუდმივად ახალი პროექტების განვითარებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების ძიებაშია.

ვთვლით რომ, სასაზღვრო ზონაში არსებული ობიექტებს თავისი წვილილი შეაქვთ საქართველოზე დადებითი შთაბეჭდილების შექმნის ნაწილში. გამომდინარე იქიდან რომ, კომპანიისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა „პატრიოტიზმი“ და როგორც საკუთარი ასევე ქვეყნის იმიჯი, კომპანიამ 2016 წლიდან მიიღო გადაწყვეტილება ინვესტირებასთან დაკავშირებით რათა მოეხდინა სავაჭრო ობიექტების რეზერენდინგი. პირველად მოხდა სგპ წითელი ხიდის რეზერენდინგი , საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ხოლო 2017 წლის ნოემბერში დასრულდა სგპ სარფი, საქართველო-თურქეთის საზღვარზე.

ჩვენი სავაჭრო ობიექტები ომხმარებელს სთავაზოს საერთაშორისოდ ცნობილი ბრენდების პროდუქციის ფართო ასორტიმენტს. ასორტიმენტის განახლება ხდება მიდმივ რეჟიმში. ჩვენი პროდუქცია მორგებულია მომხმარებელთა კომფორტსა და მყიდველთა მოთხოვნებზე.

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“ მჭირდოდ თანამშრომლობს ადგილობრივ მწარმოებლებთან და ახდენს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას.

ფაქტია რომ, დრო ყველაზე დიდი რესურსია, ჩვენ კი ვაფასებთ ჩვენი მომხმარებლის დროს და აქედან გამომდინარე აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები on-line -სისტემის დახვეწა. ზემოთ აღნიშნულის ფარგლებში კომპანიის მიერ 2017 წელს დაწყებული პროექტი MyDutyFree - აღნიშნული ანგარიშგების წარმოდგენის პერიოდში ფუნქციონირებს წარმატებულად .

MyDutyFree.net - ეს არის მარტივი და მოხერხებული ონლაინ პლატფორმა, რომლის მეშვეობით საქართველოში მყოფ ტურისტებს ექნებათ საშუალება მოახდინოს საქონლის წინასწარი შეკვეთა, განსაკუთრებული შეღავათიანი ფასით.

6. ფინანსური კონტროლი

კომპანია არის ფინანსურად სტაბილური და მომგებიანი. კომპანია ახორციელებს საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად .

ფინანსური რისკები

საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება კომპანიის მიერ, მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, კომპანიის მიზანს წარმოადგენს შეიმუშაოს დისციპლინირებული და კონსტრუქტიული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის მისი ფუნქცია და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური დოკუმენტის ხელშემკვრელი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ის ძირითადად წარმოიშობა კომპანიის ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან, შეზღუდული ფულადი ნაშთებიდან და საკრედიტო მოთხოვნებიდან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ვადიანი დეპოზიტები და შეზღუდული ნაშთები

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, ვადიან დეპოზიტებსა და შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ნაშთებს ერთ-ერთ წამყვან ქართულ ბანკში ინახავს, რომელსაც საკრედიტო რეიტინგის კვლევის სააგენტოს „Fitch“-ს მიერ მინიჭებული აქვთ B+ შეფასება. ხელმძღვანელობა არ მოელის მისი რომელიმე კონტრაგენტისგან ვალდებულების შეუსრულებლობას და, შესაბამისად, მას სჯერა, რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და შეზღუდული ფულადი სახსრების გაუფასურება აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. კომპანია, კონტრაგენტების გარე საკრედიტო შეფასებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და შეზღუდულ ფულად სახსრებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

ფასს 9-ს თავდაპირველი გამოყენებისას, არ იყო აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. რეზერვის ოდენობა არ შეცვლილა 2018 წლის განმავლობაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი		
ნაშთები ბანკში	899	909
	899	909
მიმდინარე		
ვადიანი დეპოზიტი	200	200
ნაშთები ბანკში	667	746
	867	946

საკრედიტო მოთხოვნები

საკრედიტო მოთხოვნები გაუფასურებული არ არის. სესხი გაცემულია დაკავშირებულ მხარეზე. კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას დაკავშირებული მხარისაგან საკრედიტო მოთხოვნებთან მიმართებაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია არ დგას სესხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან ისინი ძირითადად მომდევნო მშობლის ოპერაციიდან მომდინარეობენ. კომპანია არ მოელის, რომ მისი რომელიმე წარმომადგენელი ვერ დააკმაყოფილებს მის ვალდებულებებს.

ფასს 9-ს თავდაპირველი გამოყენებისას, არ იყო აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. რეზერვის ოდენობა არ შეცვლილა 2018 წლის განმავლობაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვის კომპანიისეული მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

დამოკიდებულება ლიკვიდურობის რისკზე

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და დაუქვითავი ფორმით და ისინი მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთჩათვლის ხელშეკრულების გავლენას:

31 დეკემბერი 2018

'000 ლარი
არაწარმოებული ფინანსური
ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები
5,455	5,455	2,248	3,207
5,455	5,455	2,248	3,207

31 დეკემბერი 2017

'000 ლარი
არაწარმოებული ფინანსური
ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები
13,748	13,748	840	12,908
13,748	13,748	840	12,908

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გამოყენებული ფულადი სახსრების მოძრაობა შესაძლოა მნიშვნელოვნად ადრე გამოვლინდეს, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. კომპანია საბაზრო რისკების სამართავად იყენებს ფინანსურ ვალდებულებებს. კომპანია არ იყენებს საბუღალტრო ჰეჯირების მეთოდს მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ პირობით, რომ ადგილი ექნება შეუსაბამობას გაყიდვების, შესყიდვების, ფულადი სახსრებისა და საკრედიტო მოთხოვნების და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ეს ოპერაციები პირველად დენომინირებულ იქნა ევროში.

დამოკიდებულება სავალუტო რისკზე

კომპანიის დამოკიდებულება უცხოურ სავალუტო რისკზე არის შემდეგი:

'000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	622	1,066
შეზღუდული ფულადი ნაშთები	899	909
სავაჭრო მოთხოვნები	-	152
სავაჭრო ვალდებულებები	(3,219)	(12,971)
წმინდა დამოკიდებულება	(1,698)	(10,844)

წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო დღის „spot“ განაკვეთი	
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ევრო 1	2.9913	2.8322	3.0701	3.1044

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გონივრულ ფარგლებში შესაძლო გამყარებას/(შესუსტებას), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ევროსთან მიმართებაში 2018 წლის 31 დეკემბერს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგება ან ზარალზე ექნებოდა გავლენა ქვემოთ მითითებული ოდენობებით. ანალიზი ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს სამომავლო ყიდვა-გაყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	გამყარება	შესუსტება
	მოგება ან ზარალი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2018		
ევრო (10% მოძრაობა)	170	(170)
31 დეკემბერი 2017		
ევრო (10% მოძრაობა)	1,084	(1,084)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს გამოიწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ცვლილებას ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა ახალი სესხის აღების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

საანგარიშგებო დღეს, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000

ინსტრუმენტები ფიქსირებული განაკვეთით
ფინანსური აქტივები

საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
2,972	2,894
2,972	2,894

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან როგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მოგება ან ზარალზე ან კაპიტალზე.

თენგიზ იაშვილი

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
გენერალური დირექტორი



შპს „დიუთი ფრი ალიანსი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „დიუთი ფრი ალიანსის“ აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ შპს „დიუთი ფრი ალიანსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, და ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „*აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და ასევე აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესაძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“ შეწყვიტოს ფუნქციონირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.



შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
30 აპრილი, 2019 წელი



შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG-Georgia“
თბილისი, საქართველო
30 აპრილი, 2019 წელი



შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

’000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	7,907	7,667
წინასწარ გადახდილი საოპერაციო იჯარა		1,538	1,565
არამატერიალური აქტივები		152	178
საკრედიტო მოთხოვნები		267	-
შეზღუდული ფულადი ნაშთები	12	899	909
გრძელვადიანი აქტივები		10,763	10,319
მარაგები	13	9,941	16,812
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		82	174
ავანსები		118	268
შეზღუდული ფულადი ნაშთები	12	867	946
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,133	1,623
მიმდინარე აქტივები		12,141	19,823
სულ აქტივები		22,904	30,142
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1	1
გაუნაწილებელი მოგება		17,448	16,393
სულ კაპიტალი		17,449	16,394
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	5,455	13,748
მიმდინარე ვალდებულებები		5,455	13,748
სულ ვალდებულებები		5,455	13,748
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,904	30,142

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლისთვის

‘000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	6	54,254	67,640
გაყიდვების თვითღირებულება	7	(40,633)	(53,079)
საერთო მოგება		13,621	14,561
სხვა შემოსავალი		154	130
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(8,639)	(8,829)
სხვა ხარჯები		(107)	(120)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		5,029	5,742
ფინანსური შემოსავალი		16	185
ფინანსური ხარჯები		(33)	(343)
წმინდა ფინანსური ხარჯები	9	(17)	(158)
მოგება დაბეგვრამდე		5,012	5,584
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(61)	(66)
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,951	5,518

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 აპრილს და ხელმოწერილია, მისი სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თენგიზ იაშვილი
დირექტორი

ხათუნა თავბერიძე
მთავარი ბუღალტერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია გვერდებზე 10 დან 38.

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	6	54,254	67,640
გაყიდვების თვითღირებულება	7	(40,633)	(53,079)
საერთო მოგება		13,621	14,561
სხვა შემოსავალი		154	130
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(8,639)	(8,829)
სხვა ხარჯები		(107)	(120)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		5,029	5,742
ფინანსური შემოსავალი		16	185
ფინანსური ხარჯები		(33)	(343)
წმინდა ფინანსური ხარჯები	9	(17)	(158)
მოგება დაბეგვრამდე		5,012	5,584
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(61)	(66)
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		4,951	5,518

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 აპრილს და ხელმოწერილია, მისი სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თენგიზ იბრაიმი
 დირექტორი



(Handwritten signature)
 ხათუნა თავბერიძე
 მთავარი ბუღალტერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია გვერდებზე 10 დან 38.

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2018 წლისთვის

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	1	18,375	18,376
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	-	5,518	5,518
ოპერაციები მესაკუთრებთან, პირდაპირ კაპიტალში ასახვით			
გამოცხადებული დივიდენდები		(7,500)	(7,500)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1	16,393	16,394
 ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	1	16,393	16,394
წლის მოგება და სულ სრული შემოსავალი	-	4,951	4,951
ოპერაციები მესაკუთრებთან, პირდაპირ კაპიტალში ასახვით			
გამოცხადებული დივიდენდები	-	(3,896)	(3,896)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1	17,448	17,449

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია გვერდებზე 10 დან 38.

’000 ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება		4,951	5,518
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	11	922	892
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		51	32
წმინდა ფინანსური ხარჯი		17	158
მოგების გადასახადის ხარჯი		61	66
		6,002	6,666
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		6,871	(974)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		75	(45)
მიმდინარე აქტივების ავანსებში		177	95
შეზღუდულ ფულად ნაშთებში		79	(393)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(9,859)	1,102
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან დაბეგრამდე და პროცენტის გადახდამდე		3,345	6,451
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(382)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,345	6,069
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხი		(266)	(1,330)
გაცემული სესხებიდან მიღებული ამონაგები		-	4,115
მიღებული პროცენტი		15	185
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	11	(1,189)	(444)
ვადიანი დეპოზიტის ცვლილება		-	279
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში)/მიღებული საინვესტიციო საქმიანობებიდან		(1,440)	2,805
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან			
დივიდენდების გადახდა		(2,465)	(9,102)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან		(2,465)	(9,102)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(560)	(228)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,623	1,469
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		70	382
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	1,133	1,623

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია გვერდებზე 10 დან 38.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	11	14. ფულადი სახსრები და მათი	
2. ანგარიშგების საფუძვლები	12	ექვივალენტები	21
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12	15. საწესდებო კაპიტალი	22
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	16. კაპიტალის მართვა	22
5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	13	17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
6. შემოსავალი	15	18. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა	23
7. გაყიდვების თვითღირებულება	17	19. საოპერაციო იჯარები	26
8. საოპერაციო ხარჯები	17	20. პირობითი ვალდებულებები	27
9. წმინდა ფინანსური ხარჯები	18	21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
10. დაბეგვრა	18	22. შემდგომი მოვლენა	28
11. ძირითადი საშუალებები	19	23. შეფასების საფუძველი	28
12. შეზღუდული ფულადი ნაშთები	21	24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	28
13. მარაგები	21	25. ახალი სტანდარტები და განმარტებები, ჯერ არ შესული ძალაში	37

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავდება და ისინი ხშირი ცვლილებების საგანს წარმოადგენენ, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „დიუთი ფრი ალიანსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მოცემული განმარტების შესაბამისად. შპს „დიუთი ფრი ალიანსი“ დაფუძნდა 2008 წლის 11 თებერვალს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი №74ბ; 0162 თბილისი, საქართველო. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია და რეგისტრაციის ნომერი # 205240470.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიების ოპერირება და ადმინისტრირება, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ოთხ საზღვარზე: საქართველო-სომხეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „სადახლო“, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „სარფი“ და საქართველო-რუსეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“. კომპანია ასევე ფუნქციონირებს, როგორც „გემების ჩანდლერ მომსახურების“ გამწვევი, დახურული ტიპის საბაჟო საწყობებიდან ფოთის და ბათუმის პორტებში და ახორციელებს ოპერაციებს თბილისის თავისუფალი ვაჭრობის დიპლომატიურ მაღაზიაში. კომპანია ფუნქციონირებს სპეციალური ლიცენზიის პირობების საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება საქართველოში თავისუფალი ვაჭრობის საქმიანობას. თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიების ოპერირებისა და ადმინისტრირების ლიცენზია და ექსკლუზიური უფლება კომპანიას საქართველოს შემოსავლების სამსახურმა მიანიჭა შემდეგი მაღაზიებისთვის:

- საქართველო-სომხეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „სადახლო“ - თარიღი: 27 დეკემბერი, 2012 წელი; მოქმედებს 2027 წლის 27 დეკემბრამდე;
- საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“ - თარიღი: 27 დეკემბერი, 2012 წელი; მოქმედებს 2027 წლის 29 დეკემბრამდე;
- საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „სარფი“ - თარიღი: 23 მაისი, 2016 წელი; მოქმედებს 2031 წლის 3 ივნისამდე;
- საქართველო-რუსეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“ - თარიღი: 19 აგვისტო, 2013 წელი; მოქმედებს 2023 წლის 12 აგვისტომდე;
- დიპლომატთა მაღაზია თბილისში - თარიღი: 23 აგვისტო, 2016 წელი; მოქმედებს 2031 წლის 23 აგვისტომდე;
- ფოთის ცენტრალური საწყობი - თარიღი: 10 ივლისი, 2014 წელი; მოქმედების ვადა შეზღუდული არ არის.

კომპანიის მაღაზიებში შემოთავაზებულია თავისუფალი ვაჭრობის სხვადასხვა ტრადიციული პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანი, ბრენდირებული სუნამოებითა და კოსმეტიკური პროდუქტებით დაწყებული, სასმელების, თამბაქოს, ტკბილეულის, ძვირადღირებული ტანსაცმლის ბრენდების, ელექტრონიკისა და აქსესუარების დიდი არჩევანით დასრულებული.

კომპანიის 100%-იანი მფლობელია კომპანია „Oscaria Investments Limited“, რომელიც კვიპროსშია რეგისტრირებული. კომპანიის დაფინანსების დიდი ნაწილი კომპანიათა ჯგუფიდან („აქციონერთა ჯგუფი“) მომდინარეობს. ამასთან, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება „აქციონერთა ჯგუფის“ მოთხოვნებს. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი არტურ გრანტი, ბელარუსის მოქალაქე, რომელიც უფლებამოსილია კომპანიის ოპერაციები საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით წარმართოს. მას რამდენიმე სხვა ბიზნეს ინტერესიც გააჩნია კომპანიის მიღმა. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განსაზღვრულია 21-ე შენიშვნაში.

2. ანგარიშგების საფუძვლები

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“-ების) შესაბამისად.

ეს არის ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება სადაც გამოყენებულია ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ქართული ლარი, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის ასახავს აღწერილი მოვლენების და გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში: მე-11 შენიშვნა - იჯარის კლასიფიკაცია და მე-19 შენიშვნა - საოპერაციო იჯარა.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, მოცემულია 25-ე შენიშვნაში- ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ჯერ არ შესული ძალაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებები საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე:

- **დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- **დონე 2:** მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- **დონე 3:** მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომელიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონეში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასება მთლიანად ჯგუფდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებაში დაშვებების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 18(ა)-ში - სააღრიცხვო კლასიფიკაცია და სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

კომპანიამ თავდაპირველად გამოიყენა ფასს 15 (იხ. A)) და ფასს 9 (იხ. (B)) 2018 წლის 1 იანვრიდან. რიგი სხვა ახალი სტანდარტებიც შევიდა ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანიის მიერ ამ სტანდარტების გამოყენებისას შერჩეული გადასვლის მეთოდებიდან გამომდინარე, შესაძარის ინფორმაცია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის გადაანგარიშებული ახალი სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით.

A. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. მან ჩაანაცვლა ბასს 18 *შემოსავალი*, ბასს 11 *სამშენებლო ხელშეკრულებები* და ამასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც მომხმარებელს გადაეცემა საკუთრების უფლება საქონელზე ან მომსახურებაზე. საკუთრების გადაცემის მომენტის დასადგენად - დროის რაღაც მომენტში თუ რაღაც პერიოდის განმავლობაში - სჭირდება განსჯა.

კომპანიამ დაიწყო ფასს 15-ის გამოყენება კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით (პრაქტიკული მიზანშეწონილობის გარეშე). მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების გავლენა აღიარდება 2018 წლის 1 იანვარს. შესაბამისად, 2017 წელს წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული - ანუ, წარმოდგენილია, როგორც ზემოთ ნახსენებია, ბასს 18-ში, ბასს 11-ში და მსგავს ახსნა-განმარტებებში. დამატებით, ფასს 15-ის განმარტებითი მოთხოვნები არ არის ზოგადად გამოყენებული შესაძარის ინფორმაციაზე.

ფასს 15-ს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე შემოსავლის წყაროებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 6), მაშასადამე ფასს 15-ზე გადასვლას არ ჰქონია გაუნაწილებელ მოგებაზე გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ფასს 15-ზე გადასვლის შედეგად არ იქნა აღიარებული დამატებითი სახელშეკრულებო აქტივები/ვალდებულებები.

დამატებით, არ ყოფილა არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე იმავე წლის ბოლოს.

დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 6(a).

B. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არაფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება*.

ფასს 9-ს გამოყენების შედეგად, კომპანიამ შესაბამისი კორექტირებები შეიტანა ბასს 1-ში *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*. ეს კორექტირება მოითხოვს, რომ ფინანსური აქტივების გაუფასურება მოგება ან ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში ასახული იყოს ცალკე კატეგორიად. ადრე კომპანიის მიდგომა იყო სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ფინანსურ ხარჯებში ასახვა.

ფასს 9-ზე გადასვლას არ ჰქონია გავლენა კომპანიის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ს მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დაფუძნებულია იმ ბიზნეს მოდელზე რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის სამართავად და მის სახელეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ფასს 9 აუქმებს ბასს 39 -ს დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი. ფასს 9-ს მიხედვით, ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის სავანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მიზნებისთვის არ განცალკევდება. ნაცვლად ამისა, კლასიფიკაციის მიზნებისათვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი როგორც ერთი მთლიანობა.

ფასს 9 ძირითადად ინარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და აღრიცხვასთან მიმართებაში.

ახსნა-განმარტებებს თუ როგორ აღრიცხავს და აკლასიფიცირებს კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, აღრიცხავს ცვლილებებს და შესაბამის მოგებასა და ზარალს ფასს 9-ს მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 24(i)-ში.

(a) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სესხის მოთხოვნები რომლებიც კლასიფიცირდებოდა როგორც „სესხები და მოთხოვნები“ ბასს 39-ს მიხედვით, ეხლა კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფასს 9-ს გამოყენებას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ს „გაწეული ზარალი“-ს მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ (მსზ)-ს მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე და ვალის ინვესტიციებზე, მაგრამ არა ინვესტიციებზე კაპიტალის ინსტრუმენტებში. ფასს 9-ს მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ს გამოყენებისას.

ფასს 9-ს გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის აქტივების გაუფასურების ზარალი მოსალოდნელია გაიზარდოს და გახდეს უფრო არასტაბილური. კომპანიამ დაადგინა, რომ ფასს 9-ს გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ იწვევს გაუფასურების რეზერვის ზრდას.

დამატებითი ინფორმაცია თუ როგორ აღრიცხავს კომპანია გაუფასურების რეზერვს აღწერილია შენიშვნა 24(i)-ში.

6. შემოსავალი

შემოსავლის ყველაზე დიდი ნაწილი (99%) აღიარდება მაშინ როდესაც ხდება შეძენა მაღაზიებში და ფულადი ნაკადების მიღება. რეექსპორტისგან მიღებული შემოსავალი ფასდება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების შესაბამისად. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის გადასცემს კლიენტს უფლებებს საქონელზე ან მომსახურებაზე.

’000 ლარი	2018	2017
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	53,622	67,456
რეექსპორტიდან მიღებული შემოსავალი	632	184
	54,254	67,640

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მაღაზიების მიხედვით

’000 ლარი	2018	2017
წითელი ხიდის მაღაზიის გაყიდვები	18,242	22,529
ყაზბეგის მაღაზიის გაყიდვები	14,372	13,204
სარფის მაღაზიის გაყიდვები	12,674	23,574
სადახლოს მაღაზიის გაყიდვები	6,737	6,461
დიპლომატიური მაღაზიის გაყიდვები	846	935
ფოთის გემების ჩანდლერ მაღაზიის გაყიდვები	711	525
ბათუმის გემების ჩანდლერ მაღაზიის გაყიდვები	40	228
	53,622	67,456

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი საქონლის მიხედვით

’000 ლარი	2018	2017
ალკოჰოლის გაყიდვები	26,212	37,060
სიგარეტის გაყიდვები	20,944	23,592
სუნამოების გაყიდვები	3,977	4,367
არა-ალკოჰოლური საქონლის გაყიდვები	1,877	1,807
ტკბილეული/საკვები პროდუქტების გაყიდვები	407	424
სხვა გაყიდვები	205	206
	53,622	67,456

(ა) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხის და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მიხედვით (ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან)	შემოსავლის აღიარება ბასს 18-ის მიხედვით (ძალაში 2018 წლის 1 იანვრამდე)
საქონლის გაყიდვები	კომპანიას აქვს მხოლოდ ერთი ნაკისრი ვალდებულება მაღაზიების შიდა გაყიდვებისთვის და ეს არის საქონლის მიწოდება კლიენტზე. შემოსავალი გაყიდვებიდან აღიარდება იმ მომენტში როდესაც საქონლის ფლობის უფლება გადაეცემა კლიენტს, ანუ როდესაც კლიენტი გადის „ჩეკ აუტს“, მაღაზიების შიდა გაყიდვების შემთხვევაში.	შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც კლიენტი ახორციელებს „ჩეკ - აუტს“ იხდის თანხას და იღებს ჩეკს.	შემოსავალი აღიარდებოდა „ჩეკ-აუტ“-ის დროს - თანხის გადახდის და ჩეკის გაცემის მომენტში.
საქონლის გაყიდვები რეექსპორტის მეშვეობით	კონტრაქტის მიხედვით მიწოდების პირობა არის „მიწოდების ადგილი“ (DAP). DAP-ს შემთხვევაში კომპანია კლიენტს აწვდის საქონელს კლიენტის მიერ მითითებულ ადგილზე და სწევს ტრანსპორტირების ხარჯებს. ამ ხარჯების აღრიცხვის მეთოდის დასადგენად კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს ტრანსპორტირების მომსახურება არის ცალკე ნაკისრი ვალდებულება თუ არა და როდის გადაეცემა კლიენტს საქონელზე უფლებები. თუ საქონელზე უფლებები კლიენტს საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიწოდების მომენტში გადაეცემა (ეს არის კომპანიის შემთხვევა) - ანუ ტრანსპორტირების და დისტრიბუციის ხარჯები წარმოადგენს ერთიანი საქონლის გაყიდვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაწილს - მაშინ საწარმო აღიარებს შემოსავალს საქონლის მიწოდებისას და იყენებს ბასს 2 სახელმძღვანელოს მარაგებზე ტრანსპორტირების ხარჯის აღრიცხვისთვის. კლიენტზე საქონლის მიწოდების ხარჯები - ანუ ის ხარჯები რომლებიც არ უკავშირდება ცალკე ნაკისრ ვალდებულებას და არ არის აუცილებელი მარაგების მათ მიმდინარე ადგილმდებარეობამდე ან გასაყიდ მდგომარეობამდე მისაყვანად, აღიარდება როგორც ხარჯი მისი წარმოქმნისთანავე; ის არ ნაწილდება მარაგებზე.	შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში როდესაც საქონელი მიწოდებულია სომხეთში, მელრის საბაჟო პუნქტში და ჩაბარებულია კლიენტზე.	კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, ყველა კონტრაქტი ისე არის განსაზღვრული, რომ შემოსავალი აღიარდება საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის დროს, რაც არის დროის იმ მომენტი როდესაც კლიენტი ჩაიბარებს საქონელს და მას გადაეცემა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რისკები და ანაზღაურებები. კონტრაქტების მიხედვით, საქონლის ჩაბარების შემდეგ მისი უკან დაბრუნება აღარ არის შესაძლებელი.

7. გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	2018	2017
შესყიდვები	34,272	54,043
მიმწოდებლის ფასდაკლებები	(466)	-
მარაგების მოცულობის ცვლილება	6,827	(964)
	40,633	53,079

8. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2018	2017
ხელფასები და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	3,022	3,023
საიჯარო ხარჯები	2,509	2,536
ცვეთა და ამორტიზაცია	922	892
საბანკო ხარჯები	648	877
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები*	290	358
ტექნიკური უზრუნველყოფა და რემონტი	232	209
საწვავის ხარჯი	208	202
კომუნალური ხარჯები	156	139
რეკლამა და ფრომოუმენი	140	113
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	78	113
სამივლინებო ხარჯები	73	47
სადაზღვევო ხარჯები	44	40
საკომუნიკაციო ხარჯები	41	40
სხვა	276	240
	8,639	8,829

* ზემოთ მოცემული საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები მოიცავს აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების გაწევისთვის აუდიტორული კომპანიებისათვის გადახდილ თანხებს დაახლოებით 105 ათასი ლარის ოდენობით.

9. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2018	2017
მოგებაში ან ზარალში აღიარებული		
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	15	35
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარის სესხიდან	1	150
ფინანსური შემოსავალი	16	185
წმინდა სავალუტო ზარალი	(33)	(343)
ფინანსური ხარჯი	(33)	(343)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(17)	(158)

10. დაბეგვრა

მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

'000 ლარი	2018	2017
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი		
მიმდინარე წელი	61	-
წინა წლების კორექტირება	-	66
	61	66

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2018		2017	
	'000 ლარი	%	'000 ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდი	3,896	100	9,519	100
გადასახადი კომპანიის შიდა საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	688	18	1,680	18
დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების გაქვითვა *	(627)	(16)	(1,680)	(18)
წინა წლების კორექტირება	-	-	66	1
	61	2	66	1

* სულ საგადასახადო კომპენსაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2018 ან შემდგომ წლებში გამოცხადებული მოგებისთვის, შეადგენს 935 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 1,563 ათასი ლარი).

11. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები	საიჯარო გაუმჯობესებები	საოფისე ტექნიკა და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	8,222	394	285	1,166	457	303	10,827
შესყიდვები	153	-	-	269	5	17	444
გაყიდვები	-	-	-	(133)	(34)	(29)	(196)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	8,375	394	285	1,302	428	291	11,075
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	8,375	394	285	1,302	428	291	11,075
შესყიდვები	387	21	40	326	247	162	1,183
გაყიდვები	-	-	-	(139)	(195)	(43)	(377)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	8,762	415	325	1,489	480	410	11,881
ცვეთა							
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	1,333	113	50	716	307	190	2,709
ცვეთა წლის განმავლობაში	495	47	28	177	72	44	863
გაყიდვები	-	-	-	(114)	(23)	(27)	(164)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,828	160	78	779	356	207	3,408
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	1,828	160	78	779	356	207	3,408
ცვეთა წლის განმავლობაში	503	46	29	199	64	51	892
გაყიდვები	-	(2)	-	(117)	(172)	(35)	(326)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	2,331	204	107	861	248	223	3,974
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვარს	6,889	281	235	450	150	113	8,118
2017 წლის 31 დეკემბერს	6,547	234	207	523	72	84	7,667
2018 წლის 31 დეკემბერს	6,431	211	218	628	232	187	7,907

(a) შენობები აღნაგობის ხელშეკრულების უფლებით

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწა და შენობები მოიცავდა ნაგებობებს საბალანსო ღირებულებით 2,297 ათასი და 2,121 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. ხსენებული ნაგებობები კომპანიამ ააშენა აღნაგობის ხელშეკრულებების უფლების შესაბამისად.

2009 წლის 6 იანვარს კომპანიამ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (მეიჯარე) გააფორმეს აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მიიღო უფლება ააშენოს და ამუშაოს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზია, 59 წლის განმავლობაში წლიური ღირებულებით 73 ათასი აშშ დოლარი, 300 კვადრატული მეტრი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც „მეიჯარის“ საკუთრებას წარმოადგენს და მდებარეობს საქართველოს მარნეულის რაიონში აზერბაიჯანის საზღვარზე (წითელი ხიდი). აღნაგობის ხელშეკრულების უფლების ფარგლებში, კომპანიას აქვს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიის საკუთრების უფლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

2009 წლის 6 იანვარს კომპანიამ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (მეიჯარე) გააფორმეს აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მიიღო უფლება ააშენოს და ამუშაოს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზია, 59 წლის განმავლობაში წლიური ღირებულებით 73 ათასი აშშ დოლარი, 300 კვადრატული მეტრი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც „მეიჯარის“ საკუთრებას წარმოადგენს და მდებარეობს საქართველოს მარნეულის რაიონში სომხეთის საზღვარზე (სადახლო). აღნაგობის ხელშეკრულების უფლების ფარგლებში, კომპანიას აქვს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიის საკუთრების უფლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

2010 წლის 12 აპრილს კომპანიამ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (მეიჯარე) გააფორმეს აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მიიღო უფლება ააშენოს და ამუშაოს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზია, 59 წლის განმავლობაში წლიური ღირებულებით 108 ათასი აშშ დოლარი, 350 კვადრატული მეტრი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, რომელიც „მეიჯარის“ საკუთრებას წარმოადგენს და მდებარეობს საქართველოს სარფის რაიონში თურქეთის საზღვარზე. აღნაგობის ხელშეკრულების უფლების ფარგლებში, კომპანიას აქვს თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიის საკუთრების უფლება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

კომპანიის მიერ ზემოთხსენებული „აღნაგობის ხელშეკრულებების“ უფლების ფარგლებში აშენებული თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიების შენობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. „შენობები“ პირველად აღიარებულია კომპანიის მიერ ხსენებული შენობების მშენებლობაზე გაწეული ღირებულებით, როდესაც შენობები პირველად შევიდა ექსპლოატაციაში.

კომპანიისათვის ზემოთხსენებული „აღნაგობის ხელშეკრულებების“ უფლების ფარგლებში გადაცემული მიწის ნაკვეთები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარების სახით, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ „აღნაგობის ხელშეკრულებების“ დებულებების შესაბამისად, არსებითად ყველა რისკი და ანაზღაურება, რომელიც უკავშირდება მიწის ნაკვეთების ფლობას, „მეიჯარეს“ უნარჩუნდება. კომპანიამ განიხილა შემდეგი ფაქტორები იჯარის კლასიფიკაციის განსასაზღვრად:

- იჯარის არსებული ნომინალური გადახდა, რომელიც უნდა განახორციელოს კომპანიამ „აღნაგობის ხელშეკრულების“ უფლების ფარგლებში არ წარმოადგენს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულების არსებით ნაწილს; და
- მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლება არ გადადის კომპანიაზე, არც იჯარის ვადის განმავლობაში და არც მისი დასრულების შემდეგ.

(b) წინასწარ გადახდილი იჯარა

ზემოთ ხსენებული, 2010 წლის 12 აპრილს გაფორმებული „აღნაგობის ხელშეკრულების“ უფლების ფარგლებში, მშენებლობის უფლების მისაღებად კომპანია ვალდებული იყო აეშენებინა შენობა (თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიის შენობისგან განცალკევებით) მთლიანი ფართობით 700 კვადრატული მეტრი და გადაეცა ხსენებული შენობა საქართველოს სახელმწიფოსთვის, როგორც ადმინისტრაციული შენობა, რომელიც გამოიყენება საზღვარზე საბაჟო ოპერაციებისთვის. შენობის გადაცემისთანავე, ამ მშენებლობის მთლიანი ღირებულება აღიარებულია ავანსად გადახდილი იჯარის სახით, რომელიც ამორტიზირდება იჯარის ვადის განმავლობაში.

12. შეზღუდული ფულადი ნაშთები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გრძელვადიანი		
ნაშთები ბანკში	899	909
	899	909
მიმდინარე		
ვადიანი დეპოზიტი	200	200
ნაშთები ბანკში	667	746
	867	946

თავისუფალი ვაჭრობის მაღაზიების მუშაობის ლიცენზიებისთვის (შენიშვნა 1(ბ)), კომპანიისგან მოითხოვება საქართველოს შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს საბანკო გარანტია. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, „გემების ჩანდლერ მომსახურების“ გამწვევის ფარგლებში, კომპანიის საქონლის საბაზრო ღირებულების შესაბამისი არსებული მიმდინარე ნაშთები, რომლებიც ფოთისა და ბათუმის პორტების დახურული ტიპის საბაჟო საწყობებში ინახება, იზღუდება საქონლის გაყიდვის თარიღამდე. დამატებით ვადიანი დეპოზიტი შეზღუდულია ფოთის პორტში მდებარე დახურული ტიპის სამომხმარებლო საწყობებისთვის, საქართველოს შემოსავლების სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად. ვადიანი დეპოზიტი ძალაშია 2019 წლის 30 სექტემბრამდე. ზემოთ ხსენებული ნაშთები შეზღუდულია ქართული ბანკის მიერ გაცემული გარანტიების დაზღვევის მიზნით.

კომპანიის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკებზე, საკრედიტო რისკებსა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზზე განსაზღვრულია მე-18 შენიშვნაში.

13. მარაგები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადაყიდვისთვის განკუთვნილი საქონელი	9,847	16,673
სხვა	94	139
	9,941	16,812

2018 და 2017 წლებში 40,633 ათასი და 53,079 ათასი ლარის ოდენობის (შესაბამისად) მარაგები წლის განმავლობაში აღიარებულია ხარჯის სახით ‘გაყიდვების თვითღირებულებაში’ (იხილეთ შენიშვნა 7).

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	194	584
ნაშთები ბანკში	939	1,039
	1,133	1,623

„კომპანიის“ დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის განხილულია მე-18 შენიშვნაში.

15. საწესდებო კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას „კომპანიის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში.

საწესდებო კაპიტალის მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე მათ აქვთ უფლებამოსილება კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე საკუთრების პროცენტულობის შესაბამისი ხმის უფლების რაოდენობაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 ათას ლარს.

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება კომპანიის ფასს-ების საფუძველზე მომზადებული ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. 2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა 3,896 ათასი და 2,465 ლარის ოდენობით დივიდენდები, შესაბამისად (2017: გამოაცხადა და გადაიხადა 7,500 ათასი და 9,102 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, შესაბამისად).

16. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომლებსაც კომპანია ძირითადად საოპერაციო ფულადი ნაკადებით, გრძელვადიანი სესხების და კრედიტების საშუალებით აფინანსებს. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით კომპანია ორიენტირებულია მოგების მდგრად ზრდაზე. წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია კაპიტალის მართვის მიდგომა.

კომპანიას არ აქვს გარეშე პირისგან დაწესებული რაიმე შეზღუდვა კაპიტალზე.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,489	13,173
დივიდენდების გადახდის ვალდებულებები	1,848	417
სახელფასო ვალდებულებები	118	158
	5,455	13,748

კომპანიის დამოკიდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე განხილულია მე-18 შენიშვნაში.

18. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებები განკუთვნილია იმ ფასის დასადგენად, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან მიიღება ვალდებულების გადასაცემად სტანდარტულ ოპერაციაში ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობებისა და სუბიექტური მსჯელობის გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას გაგებული როგორც რეალიზებადი ღირებულება აქტივების მყისიერი გაყიდვიდან ან ვალდებულებების გადაცემიდან.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების ისეთი განმარტების შემუშავება, რომელიც ასახავს აქტივის გასაყიდ ფასს ან რომელიც გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად სტანდარტულ ოპერაციაში შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის. გამოყენებული შეფასების მეთოდი წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება მომავალი ძირი თანხიდან და პროცენტიდან მიღებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია პროცენტის საბაზრო განაკვეთით, საანგარიშგებო თარიღისთვის.

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსური ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო დამოკიდებულია შემდეგ რისკებზე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(ბ)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(ბ)(iii);
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 18(ბ)(iv).

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განსაზღვრულია მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ტრენინგებისა და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, კომპანია მიზნად ისახავს განავითაროს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული აქვს თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

აქციონერები თვალყურს ადევნებენ ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობის კონტროლს და მიმოიხილავენ რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე არსებულ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ის ძირითადად წარმოიშობა კომპანიის ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან, შეზღუდული ფულადი ნაშთებიდან და საკრედიტო მოთხოვნებიდან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ნაშთები

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, ვადიან დეპოზიტებსა და შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ნაშთებს ერთ-ერთ წამყვან ქართულ ბანკში ინახავს, რომელსაც საკრედიტო რეიტინგის კვლევის სააგენტოს „Fitch“-ს მიერ მინიჭებული აქვთ B+ შეფასება. ხელმძღვანელობა არ მოელის მისი რომელიმე კონტრაგენტისგან ვალდებულების შეუსრულებლობას და, შესაბამისად, მას სჯერა, რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და შეზღუდული ფულადი სახსრების გაუფასურება აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. კომპანია, კონტრაგენტების გარე საკრედიტო შეფასებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და შეზღუდულ ფულად სახსრებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

ფასს 9-ს თავდაპირველი გამოყენებისას, არ იყო აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. რეზერვის ოდენობა არ შეცვლილა 2018 წლის განმავლობაში.

საკრედიტო მოთხოვნები

საკრედიტო მოთხოვნები გაუფასურებული არ არის. კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას საკრედიტო მოთხოვნებთან მიმართებაში, რადგან ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანია არ დგას სესხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, რადგან ის ძირითადად წარმოიშობა საჯარო მმართველობის ქვეშ მყოფ საწარმოსთან დადებული გარიგებებიდან. კომპანია არ მოელის, რომ საწარმო ვერ დააკმაყოფილებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ფასს 9-ს თავდაპირველი გამოყენებისას, არ იყო აღიარებული დამატებითი გაუფასურების რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. რეზერვის ოდენობა არ შეცვლილა 2018 წლის განმავლობაში.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულებები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვაზე მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

დამოკიდებულება ლიკვიდურობის რისკზე

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და ისინი მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს:

31 დეკემბერი 2018

’000 ლარი

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
საბალანსო ღირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები
5,455	5,455	2,248	3,207
5,455	5,455	2,248	3,207

31 დეკემბერი 2017

	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
	საბალანსო ლირებულება	სულ	მოთხოვნამდე	2 თვეზე ნაკლები
'000 ლარი				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,748	13,748	840	12,908
	13,748	13,748	840	12,908

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში გამოყენებული ფულადი სახსრების მოძრაობა შესაძლოა მნიშვნელოვნად ადრე გამოვლინდეს, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია საბაზრო რისკების სამართავად იყენებს ფინანსურ ვალდებულებებს. კომპანია არ იყენებს საბუღალტრო ჰეჯირების მეთოდს მოგებაში ან ზარალში არასტაბილურობის სამართავად.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ პირობით, რომ ადგილი ექნება შეუსაბამობას გაყიდვების, შესყიდვების, ფულადი სახსრებისა და საკრედიტო მოთხოვნების და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ეს ოპერაციები პირველად დენომინირებულ იქნა ევროში.

დამოკიდებულება სავალუტო რისკზე

კომპანიის დამოკიდებულება უცხოურ სავალუტო რისკზე არის შემდეგი:

'000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2017
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	622	1,066
შეზღუდული ფულადი ნაშთები	899	909
სავაჭრო მოთხოვნები	-	152
სავაჭრო ვალდებულებები	(3,219)	(12,971)
წმინდა დამოკიდებულება	(1,698)	(10,844)

წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო დღის „spot“ განაკვეთი	
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ევრო 1	2.9913	2.8322	3.0701	3.1044

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის გონივრულ ფარგლებში შესაძლო გამყარებას/(შესუსტებას), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ევროსთან მიმართებაში 2018 წლის 31 დეკემბერს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგება ან ზარალზე ექნებოდა გავლენა ქვემოთ მითითებული ოდენობებით. ანალიზი ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთი, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს სამომავლო ყიდვა-გაყიდვების ნებისმიერ გავლენას.

	<u>გამყარება</u>	<u>შესუსტება</u>
'000 ლარი	<u>მოგება ან ზარალი</u>	<u>მოგება ან ზარალი</u>
31 დეკემბერი 2018		
ევრო (10% მოძრაობა)	170	(170)
31 დეკემბერი 2017		
ევრო (10% მოძრაობა)	1,084	(1,084)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სესხებსა და ვალდებულებებზე, რადგან ეს გამოიწვევს სესხის სამართლიანი ღირებულების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ცვლილებას ან გავლენას მოახდენს მომავალში ფულადი ნაკადების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა ახალი სესხის აღების დროს, გადაწყვეტილების მიღებისას, მენეჯმენტი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე

საანგარიშგებო დღეს, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

	<u>საბალანსო ღირებულება</u>	
'000	<u>31 დეკემბერი 2018</u>	<u>31 დეკემბერი 2017</u>
ინსტრუმენტები ფიქსირებული განაკვეთით		
ფინანსური აქტივები	2,972	2,894
	2,972	2,894

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან როგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მოგება ან ზარალზე ან კაპიტალზე.

19. საოპერაციო იჯარები

მოიჯარის იჯარები

კომპანია ქირაობს ქონებას მაღაზიებისა და დახლებისთვის საოპერაციო იჯარის საფუძველზე. საოპერაციო იჯარების კლასიფიკაცია წარმოადგენს ხელმძღვანელობის ვარაუდის საგანს, მეიჯარეებთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების პირობების საფუძველზე. იჯარის პირობები და ქირის გაანგარიშება განსხვავდება სხვადასხვა იჯარის ხელშეკრულების მიხედვით. მაღაზიის ფართების იჯარები როგორც წესი მერყეობს, არაგაუქმებადი ვადით 3-დან 10 წლამდე, ვადის გასვლის შემდეგ მისი განახლების შესაძლებლობით. აღნაგობის ხელშეკრულებების უფლების ფარგლებში მიწის იჯარა (შენიშვნა 11(a)) ორმოცდაცხრამეტი წლის განმავლობაში გრძელდება.

მომავალი მინიმალური იჯარის გადახდები არაგაუქმებადი იჯარებისთვის გადაიხდებოდა შემდეგნაირად:

’000 ლარი	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ერთ წელზე ნაკლები ვადით	2,488	2,496
ერთიდან ხუთ წლამდე ვადა	8,986	9,825
ხუთ წელზე მეტი ვადა	30,181	30,975
	41,655	43,296

20. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ადგილებში მოქმედი დაზღვევის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ძირითადი საშუალებებისა და მესამე პირთა ვალდებულებებისთვის ძირითადი საშუალებების დაზიანებასთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიშობა კომპანიის ქონებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან ან უკავშირდება კომპანიის ოპერაციებს. ამასთან, კომპანიას არ აქვს სადაზღვევო ანაზღაურება ბიზნეს ჩარევაზე და არსებობს რისკი, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვას ან განადგურებას შესაძლოა ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავებს ან სხვა გადაუწყვეტელ დავებს, რომლებსაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი და აღიარებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელიწადი შეიძლება იქნეს გადახდილი საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში საგადასახადო წელიწადი შეიძლება დარჩეს ღია უფრო მეტი დროით. ამ ვითარებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. ამასთან, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და მათ შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე, იმ შემთხვევაში თუ უწყებები შესძლებენ თავისი ინტერპრეტაციის ამოქმედებას.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მიმდინარე და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Oscaria Investment limited“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული „Promenade Holding Limited“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია ბელარუსის მოქალაქე ართურ გრანტსი.

საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტების მიხედვით, გამოცემულია შპს „დიუთი ფრი ალიანსი“-ს მიერ.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვან ხელმძღვანელობას წლის განმავლობაში მიღებული აქვს შემდეგი ოდენობით ანაზღაურება, რომელიც შედის საოპერაციო ხარჯების კატეგორიაში (იხილეთ შენიშვნა 8):

'000 ლარი	2018	2017
ხელფასები და ბონუსები	125	121

(c) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	ოპერაციის ღირებულება		დარჩენილი ნაშთი	
	2018	2017	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები:				
„Georgian industrial asset management group“	267	-	267	-
მარკეტინგის და ადმინისტრაციული ხარჯები				
შპს „BF და GH Travel Retail“	99	-	99	-
	366	-	366	-

22. შემდგომი მოვლენა

2019 წლის 26 თებერვალს კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 2,400 ათასი ლარის ოდენობით.

23. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები მუდმივად გამოიყენებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის განმავლობაში, და ისინი მუდმივად გამოიყენებოდა კომპანიის მიერ.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ინდექსები, რომლებზეც დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მითითებულ გვერდებზე:

a. შემოსავალი	29
b. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	29
c. უცხოური ვალუტა	29
d. თანამშრომელთა სარგებელი	29
e. მოგების გადასახადი	30
f. მარაგები	31
g. ფასდაკლებები	31
h. ძირითადი საშუალებები	31
i. ფინანსური ინსტრუმენტები	32
j. გაუფასურება	34
k. იჯარები	37

(a) შემოსავალი

კომპანიამ თავდაპირველად გამოიყენა ფასს 15 2018 წლის 1 იანვრიდან. ინფორმაცია კომპანიის მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე მოცემულია შენიშვნა 6(a)-ში. ფასს 15 ის თავდაპირველი გამოყენების გავლენა ასახულია შენიშვნა 5-ში.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო მოთხოვნებზე;
- მოგება ან ზარალი უცხოური ვალუტის გაცვლიდან ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება მისი მოგებაში ან ზარალში დარიცხვისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალის აღიარება ხდება ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რომელიც დამოკიდებულია იმაზე სად მდებარეობს ვალუტის მოძრაობა - წმინდა მოგებაში თუ წმინდა ზარალში.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში მიღებული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, შეფასებული ისტორიული ფასის საფუძველზე, კონვერტირდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) თანამშრომელთა სარგებელი

(i) თანამშრომელთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების სახით, თუ ჯგუფს აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისთვის და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, ან რომელიც აღიარდება სხვა ერთობლივ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი აგრეთვე წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016 წლიდან და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება დივიდენდების გამოცხადების პერიოდის ხარჯის სახით, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. დივიდენდის განაწილებაზე საგადასახადო ვალდებულების თანხა გაანგარიშდება წმინდა განაწილების თანხის 15/85-ის ოდენობით.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების გაქვითვის ფუნქცია ვრცელდება მოგების გადასახადებზე, რომლებიც გადაიხდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ხსენებული მოგება ნაწილდება 2018 ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს კონკრეტულ ოპერაციებზე მოგების გადასახადის დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და წარმომადგენლობით ხარჯებს დაშვებულ ზღვრებში. ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას კომპანია განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) მიღმა და აღრიცხავს ისეთ ერთეულებზე გადასახადის სახით, როგორც არის 'გადასახადები მოგების გადასახადის გარდა'.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული პირები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, არ წარმოიშობა გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება გამოიანგარიშება „FIFO“ (პირველი შემოვიდა პირველი გავიდა) მეთოდის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და სხვა დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(g) ფასდაკლებები

შესყიდვებზე ფასდაკლებები და სხვა ფასდათმობები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. წარდგენის მიზნებისათვის, გასაყიდი ღირებულება მოყვანილია ფასდაკლებების გამოკლებით.

(h) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციას, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ხარჯთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მოელის.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი წარმოშობისას.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივისათვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში,

ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– შენობები	10-25 წელი;
– მანქანა-დანადგარები	5-10 წელი;
– საიჯარო გაუმჯობესებები	10 წელი;
– საოფისე ტექნიკა და მოწყობილობები	5-7 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
– სხვა ძირითადი საშუალებები	2-7 წელი.

საიჯარო გაუმჯობესებების ცვეთა ხდება იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადიდან უმცირესის განმავლობაში.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და იცვლება შესაბამისად.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

კომპანია იყენებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არაფინანსური ერთეულების შეძენა-გაყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებისთვის.

(i) აღიარება და პირველადი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოქმნისთანავე. ყველა სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული, არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის, მის გამოშვებასთან ან შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი აღრიცხვა

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და

- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხაზე დაგროვილი დაუფარავი ინტერესის გადახდას წარმოადგენს.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის გაცვლიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღიარდება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა მოგება და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგება ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა რომელიც გამოწვეულია კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკით, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში). სხვა ფინანსური ვალდებულებები შესაბამისად ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება და ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. აღიარების შეწყვეტისას წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია აღრიცხავს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავისუფლდება. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულატი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

კომპანია აკლასიფიცირებდა თავის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს როგორც სესხებს და მოთხოვნებს.

კომპანია აკლასიფიცირებდა არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(vi) არაწარმოებული ფინანსური აქტივი - შეფასება

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდებოდა. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდებოდა, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდებოდა ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავდა ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ფულადი ნაშთები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს თავდაპირველი 3 თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით.

(vii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებული იყო სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ეს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(j) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

– ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის;

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის აღირიცხება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაბამისი თანხით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია დაქვემდებარებულია საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოს ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველ საანგარიშგებო თარიღში კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- გამცემის ან მიმღების არსებითი ფინანსური სირთულეები;

- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა და იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის გამოყენება; ან

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სესხის უზრუნველყოფებისთვის, ზარალის რეზერვი აისახება მოგებაში ან ზარალში და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული იმედი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის ჩამოწერილი თანხიდან არსებითი ოდენობის ამოღებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU). კომპანიის კორპორატიული აქტივები არ წარმოშობენ ცალკე ფულადი ნაკადებს და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები მიკუთვნებულია ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულების დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი.

გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის პროცენტის ჩათვლით, ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ფინანსური აქტივი მიჩნეულია გაუფასურებულად თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებს იმაზე, რომ ზარალის შემთხვევა დამდგარია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ, და რომ ზარალის შემთხვევას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა, აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს შემდეგს:

- მევალის ვადაგადაცილება ან დეფოლტი;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისაცა ისეთ პირობებზე, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავდა;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება კომპანიაში;
- ეკონომიკური გარემოებები რომლებიც უკავშირდება დეფოლტს;
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა, ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს ინდივიდუალური აქტივის დონეზე. ყველა ინდივიდუალურად არსებითი აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურებაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური მოლოდინები, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გრძელდება დისკონტირების განაწილების გზით.

როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის შემცირებას და ის ობიექტურად მიკუთვნებადია გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალი აღდგენილია მოგებაში ან ზარალში.

(k) იჯარები

ყველა იჯარა წარმოადგენს საოპერაციო იჯარას და იჯარით აღებული აქტივები არ აღიარდებიან კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (უფრო ადრეული მოხმარება ნებადართულია). თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები ან კორექტირებული სტანდარტები მიღებული ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ჯერ არ ამოქმედებული სტანდარტებიდან კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე არსებითი გავლენა თავდაპირველი გამოყენებისას ფასს 16 „იჯარები“-ს ექნება.

(i) ფასს 16 იჯარები

ფასს 16 ანაცვლებს არსებულ საიჯარო სახელმძღვანელოს, ბასს 17 იჯარების ჩათვლით, ფასიკ 4 - შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას, იმკ-15 - საოპერაციო იჯარა – სტიმულირება და იმკ-27 - გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს ეს აქტივი და საიჯარო ვალდებულებას რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. არსებობს აღიარებისგან გათავისუფლებაც, მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე ერთეულებისთვის. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი მიმდინარე სტანდარტისა - ანუ მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

კომპანია ვალდებულია გამოიყენოს ფასს 16 „იჯარები“ 2019 წლის 1 იანვრიდან. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფასს 16-ს გამოყენებას ექნება არსებითი გავლენა შენობა-ნაგებობებზე „აღნაგობის უფლებით“ ხელშეკრულებების ქვეშ. კომპანია აფასებს ფასს 16-ის მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადასვლა

კომპანია გეგმავს ფასს 16-ის პირველად გამოყენებას 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. მაშასადამე, ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური ეფექტი აისახება როგორც გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე.

გადასვლისას კომპანია გეგმავს იჯარის განმარტებაზე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას. ეს ნიშნავს რომ კომპანია გამოიყენებს ფასს 16-ს ყველა ხელშეკრულებაზე რომელიც გაფორმებული იყო 2019 წლის 1 იანვრამდე და კლასიფიცირებული როგორც იჯარები ბასს 17-ს და ფასიკ 4 -ს მიხედვით.